„როგორც კი პანდემია გამოცხადდა, ირგლივ ერთადერთი მოწოდება ისმოდა – **დარჩით სახლში!**

სწორედ მაგ დროს ჩვენი, წითელი ჯვრის მედდების მოვალეობა იყო, არ დავრჩენილიყავით სახლებში; რაც შეიძლება მეტ უცხო ადამიანს შევხვედროდით და მათთვის ჩვენი დახმარება გაგვეწია.

ფაქტობრივად, დინების საწინააღმდეგოდ ვმოძრაობდით.

დაუჯერებელია, მაგრამ ისე გავიარე მთელი ეს სახიფათო პერიოდი, რომ კოვიდი არ დამდასტურებია.

მგონია, რომ ამის მიზეზი რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვა; ფსიქო-ემოციური მდგრადობა და ჩემი საქმის სიყვარულია“.

ნინო ოჩხიკიძე

საქართველოს წითელი ჯვრის შინ მოვლის პროგრამის მედდა

ვამაყობ, რომ წითელი ჯვრის მედდა ვარ და შინ მოვლის პროგრამის ეგიდით, სოციალურად დაუცველ, ქრონიკული დაავადებების მქონე ხანდაზმულებს ვეხმარები. მათი უმეტესობა მარტოხელა და უმწეოა. ჩემი ყოველდღიური საქმიანობით კი თითოეულ მათგანს დაცულობის შეგრძნებას ვუღვივებ; ვაიმედებ და ვარწმუნებ, რომ ისინი მარტონი არ არიან.
ეს ძალიან დიდი პრივილეგიაა ჩემთვის.

ნინო ოჩხიკიძე

საქართველოს წითელი ჯვრის შინ მოვლის პროგრამის მედდა

შინმოვლის პროგრამა

საქართველოს წითელი ჯვრის შინმოვლის პროგრამა ქვეყანაში ერთ-ერთია, რომელიც ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენისთვის უდიდეს საქმეს აკეთებს.

ამ საქმით 8 წელია, დაკავებული ვარ.
თავიდან მოხალისეობა დავიწყე, შემდეგ კი მიუსაფარი მოხუცების დახმარება ჩემს ერთადერთ საქმიანობად და უმნიშვნელოვანეს მოვალეობად იქცა.

ყოველდღიურად უამრავი ადამიანი უკავშირდება ქალაქის მერიას იმისთვის, რომ აღრიცხვაზე ავიდეს და ჩვენს პროგრამაში მოხვდეს. ბენეფიციართა სიებს ქალაქის მერია გვაწვდის.
შემდეგ წითელი ჯვრის ექიმი-სოც.მუშაკი ბინაზე მიდის, რათა შეაფასოს ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობა და განსაზღვროს, კვირაში რამდენი ვიზიტი უნდა დაიგეგმოს; რა სახის დახმარებაა გასაწევი - მედიკამენტებით, ჰიგიენის/მოვლის საშუალებებით ა.შ.

ამის შემდეგ დგება გეგმა და საქმეში უშუალოდ შინმოვლის მედდები ვერთვებით.

პანდემია

> ჩვენი ბენეფიციარები ძალიან ხშირად მირეკავდნენ – ამოწმებდნენ, ხომ კარგად ვიყავი; ხომ შევძლებდი მათთან მისვლას; მახსენებდნენ, რომ მე მათი ერთადერთი იმედი ვიყავი. ეს ზარები წარმოუდგენელ ძალას მმატებდა.

მართალია, კოვიდ-19-ის პანდემიამ მთელი მსოფლიო დააყენა დიდი გამოწვევის წინაშე, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ჩვენს ბენეფიციარებს გაურთულა ცხოვრება. მათთვის მანამდეც არ იყო ადვილი თავის გატანა, პანდემიის პირობებში კი ყოველდღიურობა მართლაც აუტანელი გახდა.

მარტოხელა მოხუცებს მანამდე თვეში ერთხელ მაინც მოინახულებდა ხოლმე ვინმე. პანდემიის პირობებში, აუცილებელმა სოციალურმა დისტანცირებამ კი მათთვის ეს შესაძლებლობაც მოსპო.

ამ სიტუაციაში სრულად ეკიპირებული წითელი ჯვრის მედდები ჩვენი ბენეფიციარებისთვის ერთადერთი ხსნა და შვება ვიყავით. ჩვენი ვიზიტისას ინფექციის შიში არ ჰქონდათ (მუდმივი ტესტები და რეკომენდაციების ზედმიწევნით დაცვა ამის გარანტიას იძლეოდა) და თან, მაქსიმალურად ვეხმარებოდით, მათთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩივილები თუ ყოველდღიური საზრუნავი მოგვეგვარებინა.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ჩვენი პაციენტებიდან, რომელთა უმეტესობა ხანდაზმული და ქრონიკული დაავადებების მატარებლები არიან, უმეტესობა კოვიდს გადაურჩა.

რომ არა ფსიქოლოგის დახმარება...

ბენეფიციარებში კოვიდის ყველა შემთხვევას თან ახლდა პოსტკოვიდური გართულებები, რომელთა მართვაშიც ჩვენი მედდები აქტიურად ვიყავით ჩართულნი.

გართულებებს შორის გამოვყოფდი უპირველესად, ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომელიც პაციენტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში საკმაოდ მძიმედ გამოვლინდა.

მედდებს აღნიშნულ გართულებაზე პასუხი ყველაზე მეტად გვიჭირდა, რადგან პანდემიით გამოწვეულ საკუთარ სტრესებთან გამკლავება თავადაც მთელი ძალით გვიწევდა.

პირადად მე უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ოჯახის წევრებისა და იმ ხანდაზმულების წინაშე, რომლებთანაც კომუნიკაცია ჩემი ყოველდღიურობა იყო.

ვაცნობიერებდი, რომ მათთვის ჩვენგან მიტანილი ინფექცია შეიძლება საბედისწერო აღმოჩენილიყო.

და ეს დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო.

აქტიურად ვსარგებლობდი წითელი ჯვრის ფსიქოლოგების მხარდაჭერით. სწორედ მათ დამსახურებად მიმაჩნია ის, რომ კოვიდით ინფიცირებასაც გადავურჩი და ჩემი ნერვული სისტემის დაცვაც მეტნაკლებად შევძელი ამ ყველაზე სტრესულ და მძიმე პერიოდში.

მედდებისთვის ფსიქოლოგთან სეანსები კვირაში რამდენიმე დღე იყო ხელმისაწვდომი. პროფესიონალის მიდგომა, მასთან გულახდილი საუბარი და ანალიზი იმისა, თუ საიდან მოდიოდა ჩემი შიშები და შფოთვები, პირადად მე ძალიან მეხმარებოდა. ამიტომაც აღნიშნიშნული სეანსებით, როგორც მნიშვნელოვანი შესაძლებლობით, მუდმივად ვსარგებლობდი.